საცხოვრებელი სახლის/ბინის მესაკუთრის მესამე პირთა წინაშე წარმოშობილი სამოქალაქო პასუხიმგებლობის დაზღვევის პირობები

 # GTPL/R-001/18

სარჩევი

1. ტერმინები 2
2. დაზღვევის საგანი და გამონაკლისები 3
3. ზოგადი პირობები 6
3.1. ჩვენ თავისუფალი ვართ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ 6
3.2. ჩვენ შეგვიძლია უარი განვაცხადოთ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე
იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა შემდეგ გარემოებებს 6
3.3. მხარეთა უფლებები 6
3.4. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა..... 7
3.5. რისკის ხარისხის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მოწოდების ვალდებულება 7
3.6. დაზღვევის ხელშეკრულების დადება 7
3.7. დაზღვევის პირობების შეცვლა 7
3.8. ორმაგი დაზღვევა 7
3.9. რეგრესის წესი 8
3.10. ფორს-მაჟორი..... 8
3.11. დაზღვევის მოქმედების ვადა და შეწყვეტა 8
3.12. დავების განხილვა 8
3.13. ინფორმაციის მიწოდება 8
3.14. კონფიდენციალურობა 9

წინამდებარე სადაზღვევო პროდუქტი განკუთვნილია სს "საქართველოს ბანკის" მომხმარებლებისათვის, რომლებიც ჩართულნი არიან სს "საქართველოს ბანკის" ურთიერთდაფასების პროგრამა „მადლობა" –ში და სარგებლობენ ამ პროგრამით გათვალისწინებული სტატუსით CLASSIC , SILVER ან GOLD;

სადაზღვევო ლიმიტები თითოეული სტატუსისათვის : CLASSIC – 1000 ლარი; SILVER - 5000 ლარი; GOLD – 10 000 ლარი

1. ტერმინები:

- **დამზღვევი** – პირი, რომელთანაც უშუალოდ ფორმდება დაზღვევის ხელშეკრულება.
- **დაზღვეული –** დამზღვევი და დამზღვევის ოჯახის წევრი, თუ ამ პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- **მოსარგებლე** - პირი, რომლის ქონებას მიადგა ზიანი ამ პირობებით გათვალისწინებული რისკის განხორციელების შედეგად.
- **დაზღვევის ხელშეკრულება** – დოკუმენტი, რომელიც აწესრიგებს დამზღვევსა და მზღვეველს შორის წარმოშობილ უფლება-მოვალეობებს და რომელიც შედგება წინამდებარე პირობებისა და დამზღვევის მიერ ამ პირობების აქცეპტირების დამადასტურებელი დოკუმენტისაგან.
- **სადაზღვევო პერიოდი** – დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც მოქმედებს დაზღვევა და რომლის განმავლობაშიც დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას. ამასთან, დაზღვევა ძალაში შედის დამზღვევის მიერ წინამდებარე დაზღვევის პირობების აქცეპტირების თარიღის მომდევნო დღის 24 საათიდან და ძალაშია 1 წლის ვადით, უკანასკნელი დღის 24 საათამდე.
- **სადაზღვევო თანხა/პასუხისმგებლობის ლიმიტი** – დამზღვევის სტატუსით (CLASSIC / SILVER / GOLD) გათვალისწინებული შესაბამისი თანხა, რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ყველა სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ჩვენ მიერ ჯამურად გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების ზედა ზღვარს. ამასთან, სადაზღვევო თანხის ოდენობა განისაზღვრება იმ სტატუსით, რომელითაც დამზღვევი სარგებლობს სადაზღვევო შემთხვევის ხდომილების მომენტში.
- **სადაზღვევო შემთხვევა** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამზღვევის საკუთრებაში არსებული წინამდებარე დაზღვევით დაფარული საცხოვრებელი ბინის/სახლის ტერიტორიაზე წარმოშობილი ხანძრის, აფეთქების ან დატბორვის შედეგად მესამე პირის ქონებისათვის მიყენებული ზიანის გამო დამზღვევის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დადგომა, რომლის შედეგად წარმოიშობა მზღვეველის ვალდებულება აანაზღაუროს ზიანი წინამდებარე პირობების შესაბამისად.
- **ქონებისათვის მიყენებული ზიანი** – მატერიალური ქონების ფიზიკური განადგურება ან დაზიანება, მათ შორის, ისეთი დაზიანება, რომელიც იწვევს ასეთი ქონების ფუნქციის დაკარგვას. იგულისხმება, რომ ფუნქციის დაკარგვა უნდა მოხდეს ფუნქციის დაკარგვის გამომწვევი ფიზიკური დაზიანების დროს.
- **სადაზღვევო რისკი** – რისკი, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა.
- **მომატებული რისკი** - დამზღვევის მიერ წინამდებარე დაზღვევით დაფარულ საცხოვრებელ სახლთან/ბინასთან მიმართებით ჩვეულებრივი სიფრთხილის ზომების მიუღებლობა/გაუთვალისწინებლობა.
- **სადაზღვევო ანაზღაურება** - თანხა, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გაიცემა მზღვეველის მიერ მოსარგებლის ან მისი მემკვიდრის სახელზე ამ პირობებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.
- **ფრანშიზა** - თანხა, რომელიც არ ექვემდებარება მზღვეველის მხრიდან ანაზღაურებას და რომელიც აკლდება ასანაზღაურებელი ზარალის თანხის ოდენობას.
- **დაზღვევის ტერიტორია -** დამზღვევის პასუხისმგებლობა სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ჩაითვლება დაზღვეულად დამზღვევის საკუთრებაში არსებულ მხოლოდ ერთ საცხოვრებელ სახლთან/ბინასთან მიმართებით, რომელსაც ირჩევს დამზღვევი სადაზღვევო შემთხვევის ხდომილებისას. ამასთან, დამზღვევის მიერ არჩეული დაზღვევის ტერიტორია არ ექვემდებარება შეცვლას.
- **ოჯახის წევრი** – მეუღლე, შვილ(ებ)ი, ნათესავი ან სხვა ფიზიკური პირი (მდგმურის გარდა), ვინც დაზღვევით დაფარული სახლის/ბინის მუდმივი მაცხოვრებელია. ოჯახის წევრად არ მოიაზრება პირი, რომელიც ფინანსური ანაზღაურების ან სხვა ინტერესის სანაცვლოდ ცხოვრობს დაზღვევით დაფარულ სახლში/ბინაში.
- **ხანძარი** – წინამდებარე დაზღვევის მიზნებისთვის ხანძარში იგულისხმება დამოუკიდებლად გავრცელების უნარის მქონე ცეცხლი, რომელიც თავისით ვრცელდება ცეცხლის დანთებისთვის განკუთვნილი ადგილის ფარგლებს გარეთ და უშუალოდ აზიანებს/ანადგურებს ქონებას.
- **აფეთქება** – სისტემაში გაზის წნევის მოულოდნელი მომატების შედეგად აფეთქება ან აფეთქება, გამოწვეული საყოფაცხოვრებო საინჟინრო მოწყობილობების სისტემიდან აირის გაჟონვით.

- **დატბორვა** – დაზღვევის ტერიტორიაზე წყლის შესვლა ხელოვნური ავზების, მილების (ქალაქის ან სხვა საზოგადოებრივი წყალსაკანალიზაციო მილების ჩათვლით) და სხვა მოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლის, გასკდომის ან გაჟონვის შედეგად, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია წყალსაკანალიზაციო სისტემის უეცრად და მოულოდნელად (ავარიულად) მწყობრიდან გამოსვლით ან დამზღვევის/დაზღვეულის უყურადღებო დაუდევარი ქცევით.
- **რეგრესული უფლების განხორციელებაში ხელშეწყობა** – თქვენ მიერ ჩვენთვის თქვენი მესამე პირის მიმართ არსებული მოთხოვნის უფლების გადმოცემა და ამისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის გაფორმებასა და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაში დახმარების გაწევა.
- **ჩვენ, ჩვენი** – მზღვეველი/ ს.ს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი".
- **თქვენ, თქვენი** – დამზღვევი, დაზღვეული.

წინამდებარე მუხლში მითითეული ტერმინების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და წინამდებარე პირობებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვა ტერმინების ცალკე განმარტებასაც, რა შემთხვევაშიც უპირატესობა უფრო კონკრეტულად და სრულად მოცემულ განმარტებას ენიჭება;

ამასთან, წინამდებარე პირობებში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ ჩვეულებრივი მნიშვნელობა. ამასთან, თუ პირობებში გამოყენებული ტერმინების გაგება არაერთგვაროვანია, სხვადასხვა ინტერპრეტაციას შორის უპირატესობა ენიჭება საკანონმდებლო წესით განსაზღვრულ მნიშვნელობას, თუკი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ასეთს ითვალისწინებს.

2. დაზღვევის საგანი და გამონაკლისები

2.1. წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დაზღვევის საგანია დამზღვევის საკუთრებაში არსებული წინამდებარე დაზღვევით დაფარული საცხოვრებელი ბინის/სახლის ტერიტორიაზე წარმოშობილი ხანძრის, აფეთქების ან დატბორვის შედეგად მესამე პირის ქონებისათვის ზიანის მიყენების გამო დამდგარი სამოქალაქო პასუხისმგებლობა. ამასთან, წინამდებარე პირობების თანახმად, დაზღვევით არ იფარება პასუხისმგებლობა, რომელიც:

2.1.1. წარმოქმნილია იმ ქონების დაზიანებით ან განადგურებით, რომელიც თქვენ მიერ იჯარით არის აღებული ან მინდობილი საკუთრების სახით ინახება თქვენთან, იმყოფება თქვენი ან თქვენი ოჯახის წევრების კონტროლის ქვეშ ან თქვენი ნათესავების მფლობელობაში;

2.1.2. აღემატება კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას;

2.1.3. რომელიც წარმოიშვა ნებისმიერი სხვა კონტრაქტის, ხელშეკრულების, შეთანხმების საფუძველზე ან საჯარიმო სანქციების სახით.

2.2. რა არ ანაზღაურდება (გამონაკლისები)
დაზღვევა არ ვრცელდება და, შესაბამისად, ჩვენ ვთავისუფლდებით სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისაგან შემდეგ შემთხვევებში:

2.2.1. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე კომპეტენტური ორგანოების მიერ ქონება ავარიულ მდგომარეობაში მყოფ შენობათა რიცხვს მიეკუთვნა.

2.2.2. თუ დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ დაზღვევის ტერიტორია აღიარებული იქნა შესაძლო სტიქიური უბედურების ზონად.

2.2.3. თუ ზარალი გამოწვეულია თქვენი, დაზღვეულის ან მოსარგებლის მიერ ჩადენილი განზრახ ქმედებით, უხეში გაუფრთხილებლობით ან მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით.

2.2.4. თუ ზარალი გამოწვეულია გამოწვეულია ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს ბრძანებით, განკარგულებით, ქმედებით, კონფისკაციით, რეკვიზიციით, ექსპროპრიაციით ან ამგვართა მცდელობით.

2.2.5. თუ ზარალი გამოწვეულია გამოწვეულია ომით, დაპყრობით, უცხოელი მტრის ქმედებებით, საომარი მოქმედებებით (მიუხედავად იმისა, გამოცხადებულია ომი თუ არა), საზოგადოებრივი არეულობებით, სამოქალაქო ომით, აჯანყებით, რევოლუციით, ამბოხებით, საბოტაჟით, შეიარაღებული გამოსვლებით, ატომური იარაღის გამოყენებით, მანიფესტაციებით, ლოკაუტით, გაფიცვით ან სამხედრო, ან უკანონო ხელისუფლებით, ტერორიზმის ნებისმიერი აქტით, სხვა დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით.

2.2.6. თუ ზარალი გამოწვეულია გამოწვეულია რადიაციით ან დაბინძურებით, გარდა სადაზღვევო შემთხვევის შედეგად გამოწვეული დაბინძურებისა.

2.2.7. წინამდებარე პირობებში მითითებული რისკების გარდა, სხვა ნებისმიერი რისკით გამოწვეული ზიანი.

2.2.8. თუ ადგილი ჰქონდა ქმედებას, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ჩვენ უფლებამოსილებას გვანიჭებს, უარი ვთქვათ სადაზღვევო ანაზღაურებაზე.

2.3. რა ანაზღაურდება/სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლა

2.3.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დადასტურების შემთხვევაში, სადაზღვევო თანხის ფარგლებში, წინამდებარე პირობების გათვალისწინებითა და ჩვენსა და თქვენ შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ანაზღაურდება შემდეგი:

2.3.1.1. დაზარალებული მესამე პირების ქონების გადასარჩენად ან ზიანის შესამცირებლად გაწეული მიზანშეწონილი ხარჯები;

2.3.1.2. მესამე პირის პრეტენზიებთან დაკავშირებული სასამართლო ან სასამართლოს გარეშე პრეტენზიის განხილვის ხარჯები, აგრეთვე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარემოებებისა და ზარალის ოდენობის დადგენის ხარჯები (აღნიშნული ხარჯების ანაზღაურება ხდება სადაზღვევო თანხის 20%-ის ფარგლებში), თუ ისინი წერილობით იყო ჩვენთან შეთანხმებული;

2.3.1.3. დაზარალებული პირისათვის კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გადასახდელი კომპენსაცია;

2.3.1.4. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მესამე პირი(ებ)სათვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია, თუ ამგვარი კომპენსაციის ოდენობა წერილობითი გზით შეთანხმებულია ჩვენთან და თუ დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი შემდგომი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით.

2.3.2. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე კომპენსაციის ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სადაზღვევო თანხას/პასუხისმგებლობის შესაბამის ლიმიტს, გამოანგარიშდება შემდეგი წესით:

ა ქონების განადგურების შემთხვევაში ანაზღაურების გამოთვლა ხდება განადგურებული/დაღუპული ქონების აღდგენითი ღირებულების მიხედვით, ხელყოფილი ქონების სპეციფიკის გათვალისწინებით, გაუფასურებისა და დარჩენილი დეტალების, რომელთა გამოყენებაც კიდევ შესაძლებელია, ღირებულების გამოქვითვით.

ბ) ქონების დაზიანების შემთხვევაში ანაზღაურებას ექვემდებარება შეკეთების/გამოსწორების/გაწმენდის ხარჯები, რომლებიც საჭიროა დაზიანებული ქონების დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა;

2.3.3. ანაზღაურებადი სარემონტო/აღდგენითი ხარჯები მოიცავს:
ა) დანახარჯებს რემონტის მასალაზე და სათადარიგო ნაწილებზე;
ბ) დანახარჯებს სარემონტო სამუშაოების ანაზღაურებაზე;
გ) დანახარჯებს, რომლებიც საჭიროა მასალების ადგილამდე მისატანად;
დ) სხვა დანახარჯებს, გაწეულს უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევამდე არსებული მდგომარეობის აღსადგენად.

2.3.4. აღდგენითი დანახარჯები გამოითვლება სადაზღვევო შემთხვევის მომენტში არსებულ ფასებზე დაყრდნობით.

2.3.5. იმ შემთხვევაში, თუ ქონების აღდგენა სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის არსებული პარამეტრების შესაბამისად რაიმე მიზეზის გამო შეუძლებელი ან ეკონომიკურად მიზანშეუწონელია, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შესაძლოა აღსადგენი ობიექტის რიგი პარამეტრების შეცვლა.

2.3.6. ჩვენ ავანაზღაურებთ დანახარჯებს, რომელთა გაწევაც შესაძლოა საჭირო გახდეს წინასარემონტო სამუშაოების ფარგლებში, თუ ამგვარი სამუშაოები საბოლოო რემონტის ნაწილია და თუ ამით არ გაიზრდება რემონტზე გაწეული საერთო დანახარჯი.

2.3.7. აღდგენით სამუშაოებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი გაღებული უნდა იყოს დროულად და გონივრულ ფარგლებში.

ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებელი იმ დამატებით ზარალზე, რომელიც გამოწვეული იქნება პირველადი დაზიანების დროულად აღმოუფხვრელობის შედეგად.

თუ გაირკვა, რომ ქონების განადგურება ან დაზიანება გამოწვეული იყო მესამე პირის ქმედებით, ჩვენ უფლება გვაქვს გამოვიყენოთ რეგრესის წესი და მოვითხოვოთ გადახდილი თანხის ანაზღაურება ბრალეული მხარისაგან. თუ თქვენი ბრალით ჩვენ მიერ რეგრესის უფლების გამოყენება შეუძლებელი გახდა, ჩვენ უფლება გვაქვს უარი ვთქვათ ანაზღაურებაზე ან თქვენგან მოვითხოვოთ უკვე გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების დაბრუნება.

.

2.3.8. ერთი შემთხვევით გამოწვეული დანაკარგი განხილული იქნება ერთ სადაზღვევო შემთხვევად. არავის აქვს უფლება, ორჯერ მიიღოს ანაზღაურება წინამდებარე დაზღვევის თანახმად ერთი და იმავე ზიანისთვის ან ზიანის რომელიმე ელემენტისათვის.

2.3.9. მესამე პირ(ებ)ისადმი მიყენებული ზარალის ასანაზღაურებელი მთლიანი თანხა, შემთხვევების რაოდენობის მიუხედავად, არ შეიძლება აღემატებოდეს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ სადაზღვევო თანხას/ლიმიტს.

2.3.10. ანაზღაურებას არ ექვემდებარება:

ა) დაზიანებული ქონების გაუმჯობესებაზე ან მისი მახასიათებლების ცვლილებაზე გაწეული დამატებითი დანახარჯები;
ბ) ჩვეულებრივი ექსპლუატაციისას პროფილაქტიკურ რემონტზე და მომსახურებაზე გაწეული დანახარჯები;
გ) ხარჯები, რომელთა გაწევაც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისგან დამოუკიდებლად;
დ) სხვა ხარჯები, რომლებიც აღემატება საჭიროებას.

2.3.11. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობაზე ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების სიდიდე განისაზღვრება მესამე პირისათვის მატერიალური კომპენსაციის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე. ამ შემთხვევაში, ჩვენ ასევე ავანაზღაურებთ ჩვენი თანხმობით სასამართლოში და სასამართლოს გარეშე დაცვაზე გაწეულ ხარჯებს.
2.3.12. ჩვენთან წერილობითი შეთანხმების გარეშე თქვენ მიერ მესამე პირებისთვის ზიანის ანაზღაურების ან რაიმე სხვა (მათ შორის, სასამართლოში ან სასამართლოს გარეშე დაცვაზე) ხარჯების გაწევის შემთხვევაში ჩვენ ვთავისუფლდებით გადახდილი თანხის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

<u>2.4. თქვენი ვალდებულებები</u> სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას
თქვენ ვალდებული ხართ:
2.4.1. დაუყოვნებლივ აცნობოთ მომხდარის შესახებ შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს (საპატრულო პოლიციას,ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს და სხვა) და, აგრეთვე, ჩვენ (ჩვენს 24-საათიან სატელეფონო ცენტრს).
2.4.2. მიიღოთ ყველა შესაძლო გონივრული ზომა ზარალის შემდგომი გავრცობის შეწყვეტისათვის, მისი ოდენობის შემცირების ან დაზიანებული ქონების გადარჩენის მიზნით. ასეთი ზომების მიღებისას უნდა იმოქმედოთ ჩვენი ზეპირი ან/და წერილობითი ინსტრუქციების შესაბამისად, თუ ასეთი გაცემულია.
2.4.3. ჩვენი წარმომადგენლის მისვლამდე შეძლებისდაგვარად შეინარჩუნოთ არსებული მდგომარეობა შემთხვევის ადგილზე.
2.4.4. მიიღოთ ყველა ზომა, რათა უზრუნველყოთ ჩვენი რეგრესული მოთხოვნა მესამე პირების მიმართ, რომლებიც პასუხს აგებენ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებულ ზიანზე.
2.4.5. ხელი შეგვიწყოთ სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, მიყენებული ზიანის გარემოებებისა და ოდენობის მოკვლევა-მოძიებაში.
2.4.6. სადაზღვევო შემთხვევის მომენტიდან არაუგვიანეს 1 კვირისა მოგვაწოდოთ:
ა) წერილობითი შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
ბ) დაზარალებული პირის პრეტენზიის წერილი;
გ) წერილობითი განცხადება დაზიანებული ქონების ჩამონათვალისა და მისი აღდგენითი/შენაცვლებითი მიახლოებითი ღირებულებების მითითებით;
დ) სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული შემთხვევის გარემოებების დამადასტურებელი ცნობები: ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურიდან, ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრიდან, საპატრულო პოლიციიდან, შსს-დან, პროკურატურიდან ან სხვა სამართალდამცავი ორგანოებიდან (მათი კომპეტენციის ფარგლებში მომხდარი შემთხვევის ხასიათის მიხედვით);
ე) საკუთრების უფლების დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან);
ვ) ზარალის ოდენობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
2.4.7. ჩვენი წერილობითი თანხმობის გარეშე არ აღიაროთ პასუხისმგებლობა და არ აიღოთ საკუთარ თავზე ზარალის ანაზღაურების ვალდებულება.
2.4.8. მიიღოთ ყველა ზომა იმისათვის, რომ დაზარალებულმა მხარემ, ჩვენ მიერ ზარალის ანაზღაურებაზე მოთხოვნის განხილვამდე, არ მიმართოს სასამართლოს.
2.4.9.საჭიროების შემთხვევაში გადასცეთ ჩვენ მიერ დანიშნულ პირს უფლებები:
2.4.9.1.აწარმოოს მოლაპარაკებანი დაზარალებულ პირებთან და მათ წარმომადგენლებთან, და
2.4.9.2. წარმოგადგინოთ სასამართლო პროცესში ყველა პროცესუალური უფლებამოსილებით, ქონებრივ მოთხოვნებზე პასუხისმგებლობის აღიარების (სარჩელის ცნობის) უფლების ჩათვლით.
2.4.10.დროულად შეგვატყობინოთ მესამე პირის დაზიანებული ქონების ექსპერტიზის ჩატარების დრო და ზარალის განსაზღვრის მიზნით მოგვცეთ საშუალება ჩავატაროთ დამოუკიდებელი ექსპერტიზა.
ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, საჭიროების შემთხვევაში მოვითხოვოთ დამატებითი დოკუმენტები, თუ ზემოთ მითითებული დოკუმენტების საფუძველზე შეუძლებელია დაზღვევისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენა ან/და ზიანის ოდენობის ზუსტად გაანგარიშება.

3. ზოგადი პირობები

3.1. ჩვენ თავისუფალი ვართ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ:

3.1.1. თქვენ არ გადმოგვეცით რეგრესის უფლება/არ მოგვაწოდეთ ის დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა შემთხვევაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ რეგრესის მოთხოვნის წასაყენებლად.
3.1.2. თქვენ/თქვენმა ოჯახის წევრმა განზრახ ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც პირდაპირ კავშირშია სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან.
3.1.3. თქვენ ჩვენთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე გადაუხადეთ მესამე პირს/დაზარალებულ პირს კომპენსაცია და/ან აანაზღაურეთ სასამართლო ან/და სასამართლოს გარეშე დაცვის ხარჯები.
3.1.4. თუ თქვენ მიერ მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის აღიარება ან ზარალის ანაზღაურების ვალდებულების აღება მოხდა ჩვენთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე.

3.2. ჩვენ შეგვიძლია უარი განვაცხადოთ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა შემდეგ გარემოებებს:
3.2.1. თქვენ არ შეასრულეთ თქვენზე ამ სადაზღვევო პირობებით დაკისრებული ვალდებულებები;
3.2.2. არ მოგვაწოდეთ სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ინფორმაცია (შეტყობინება) იმ ვადებში, რომლებიც შეთანხმებულია წინამდებარე პირობებით და აღნიშნული შეუტყობინებლობით არსებითად შეილახა ჩვენი ინტერესები;
3.2.3. თქვენ მიერ დაზღვევის განხორციელების/სადაზღვევო შემთხვევის აღიარების/სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის გამოთვლისათვის საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტები არის წინასწარი შეცნობით არაზუსტი ან ყალბი;
3.2.4. ადგილი აქვს გარემოებებს, რომლებიც ზრდის სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, ცნობილია თქვენთვის, ამის შესახებ დაუყოვნებლივ არ გვაცნობეთ წერილობითი ფორმით ან მოგვაწოდეთ ყალბი ან არასრული ინფორმაცია/დოკუმენტები აღნიშნულის შესახებ;
3.2.5. თქვენ/მოსარგებლემ უარი განაცხადეთ უზრუნველყოთ ჩვენი წარმომადგენლის მონაწილეობა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, მიყენებული ზიანის სიდიდისა და სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული სხვა მონაცემების მოკვლევა-მოძიებაში;
3.2.6. თქვენ არ წარმოგვიდგინეთ ჩვენ მიერ მოთხოვნილი ამ პირობებით გათვალისწინებული რომელიმე დოკუმენტი;
3.2.7. თქვენ უხეშად დაარღვიეთ სადაზღვევო შემთხვევის/რისკის ზრდის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვადა;
3.2.8. ჩვენ მიერ დაზღვეულ ინტერესთან მიმართებით ადგილი ჰქონდა ორმაგ დაზღვევას, მაგრამ თქვენ ასეთი ორმაგი დაზღვევის შესახებ ჩვენთვის ინფორმაცია არ მოგიწოდებიათ წერილობითი ფორმით;
3.2.9. თქვენ ვერ შეასრულეთ თქვენზე წინამდებარე პირობებით დაკისრებული სხვა ვალდებულებები;
3.2.10. თქვენ არ მიიღეთ რისკის/ ზარალის შესამცირებლად თქვენთვის ხელმისაწვდომი, გონივრული ზომები, რაც გახდა სადაზღვევო შემთხვევისა და ამ შემთხვევის განმაპირობებელი ზიანის ან მისი ოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორი.

სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარი წარგედგინებათ წერილობითი ფორმით, რომელშიც მოყვანილი იქნება ანაზღაურებაზე უარის გაცხადების დასაბუთებული მიზეზები.

<u>3.3. მხარეთა უფლებები:</u>
3.3.1. თქვენ უფლებამოსილი ხართ:
3.3.1.1. მოგვთხოვოთ ჩვენ დაზღვევის განხორციელება წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად;
3.3.1.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოთ ჩვენგან სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
3.3.1.3. მოითხოვოთ ჩვენგან ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;
3.3.1.4. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაასაჩივროთ ჩვენი გადაწყვეტილება, რომელიც მიაჩნიათ არასამართლიანად;
3.3.1.5. შეწყვიტოთ დაზღვევის ხელშეკრულება მხოლოდ ამავე ხელშეკრულების მოთხოვნათა სრული დაცვით.

3.3.2. **ჩვენ უფლებამოსილი ვართ:**
3.3.2.1. მოვითხოვოთ თქვენგან/მოსარგებლისგან დაზღვევის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი და განუხრელი შესრულება;
3.3.2.2. არ ავანაზღაუროთ ის შემთხვევები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ პირობებით და/ან ხვდება გამონაკლისთა ნუსხაში;
3.3.2.3. უარი განვაცხადოთ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე თქვენ/მოსარგებლის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

3.4. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა

3.4.1. ჩვენ გადავიხდით სადაზღვევო ანაზღაურებას სადაზღვევო აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში.

3.4.2. ჩვენ უფლებას ვიტოვებთ გადავავადოთ სადაზღვევო ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ სადაზღვევო რისკის ხდომილების ფაქტთან დაკავშირებით თქვენი, მოსარგებლის ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

3.4.3. სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა ლიმიტირებულია სადაზღვევო თანხით, მიუხედავად სადაზღვევო შემთხვევების რაოდენობისა და ზარალის სიდიდისა.

3.4.4. თუ ზარალის ანაზღაურება მოსარგებლისთვის განხორციელდა მესამე პირის/ების მიერ, ჩვენ ავანაზღაურებთ მხოლოდ სხვაობას დაზღვევის ხელშეკრულებით ჩვენ მიერ ასანაზღაურებელ თანხასა და მესამე პირის მიერ ანაზღაურებულ თანხას შორის.

3.4.5. მხარეთა მიერ ხელმოწერილი სადაზღვევო აქტი წარმოადგენს ჩვენ მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს. თქვენ/მოსარგებლის მიერ სადაზღვევო აქტის ხელმოწერამდე ჩვენ არ ვართ ვალდებული, გასცეთ სადაზღვევო ანაზღაურება.

3.4.6. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ვერ შევთანხმდით ზარალის საბოლოო ოდენობაზე ან შემთხვევის გამომწვევ მიზეზებზე, შეფასება მოხდება დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით. ამასთან, შეფასებაზე გასაწევი ხარჯების რეგულირების საკითხი განისაზღვრება შემდეგნაირად:
ა) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება ჩვენი სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს ჩვენ ვფარავთ;
ბ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება თქვენი სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს თქვენ ფარავთ;
გ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება მხარეთა ერთობლივი გადაწყვეტილებითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევი ხარჯები თანაბრად ნაწილდება ჩვენ შორის.

3.5. რისკის ხარისხის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მოწოდების ვალდებულება

3.5.1. თქვენ ვალდებული ხართ, დაზღვევის გაფორმებისას შეგვატყობინოთ თქვენთვის ცნობილი ყველა გარემოების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს სადაზღვევო შემთხვევების დადგომის რისკის შეფასებაზე.

3.5.2. ჩვენ გვაქვს უფლება მოგთხოვოთ ნებისმიერი დოკუმენტის წარმოდგენა, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება სადაზღვევო შემთხვევის ალბათობა.

3.5.3. რისკის ხარისხის ცვლილების შესახებ ჩვენთვის დროულად შეუტყობინებლობის შემთხვევაში ჩვენ უფლებას ვიტოვებთ უარი განვაცხადოთ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე.

3.5.4. თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ, წერილობითი სახით, შეგვატყობინოთ დაზღვევის მომენტში არსებულ გარემოებებში რაიმე ცვლილებების შესახებ, ან თუ გამოვლინდა მანამდე არსებული თქვენთვის უცნობი ან ახალი გარემოებები, თუ ისინი ზრდიან სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკს.

3.5.5. ინფორმაციის ჩვენთვის მოწოდების ვალდებულება მოქმედებს მთელი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში და არ შემოიფარგლება მხოლოდ რისკის ხარისხის შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაციით, არამედ მოიცავს ანაზღაურების ოდენობის ან/და ჩვენი ვალდებულებების წარმოშობასთან დაკავშირებულ ინფორმაციასაც.

3.6. დაზღვევის ხელშეკრულების დადება

3.6.1. დაზღვევის ხელშეკრულების დადება ხდება თქვენ მიერ წინამდებარე პირობების აქცეპტირების შესახებ შესაბამის დოკუმენტზე ხელმოწერის გზით. მზღვეველის მიერ დამატებით სადაზღვევო პოლისი არ გაიცემა.

3.6.2. წინამდებარე პირობებზე თანხმობის გაცხადებამდე თქვენ ვალდებული ხართ დეტალურად გაეცნოთ წინამდებარე პირობებს, რომლებიც საჯარო, ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: www.aldagi.ge/bog. ge.

3.7. დაზღვევის პირობების შეცვლა

3.7.1. დაზღვევის მოქმედების პერიოდში ჩვენ უფლება გვაქვს ცალმხრივად შევცვალოთ წინამდებარე დაზღვევის პირობები, რის შესახებაც გეცნობებათ ჩვენ მიერ. ჩვენ მიერ მიღებული ამგვარი გადაწყვეტილება თქვენთვის სავალდებულო ხასიათს ატარებს.

3.8. ორმაგი დაზღვევა

3.8.1. სხვა დაზღვევის ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, რომლის მიხედვითაც იგივე ინტერესი არის დაზღვეული, მოქმედებს ორმაგი დაზღვევისათვის განსაზღვრული დებულებები, ანუ, თუ ამ პირობებით გათვალისწინებული დაზღვევის ინტერესი ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან აღმოჩნდება დაზღვეული (ორმაგი დაზღვევა), თქვენ ვალდებული ბრძანდებით ასეთი ინფორმაციის შეტყობისთანავე დაუყოვნებლივ გვაცნობოთ ჩვენ და შესაბამის წერილობით შეტყობინებაში აღნიშნოთ სხვა მზღვეველების ვინაობა და მათი პასუხისმგებლობის მოცულობა. ასეთ შემთხვევაში მზღვეველები დამდგარ ზარალში მონაწილეობას მივიღებთ, როგორც სოლიდარული მოვალეები ჩვენი

პასუხისმგებლობის მოცულობის პროპორციულად, მაგრამ თქვენ არ გაქვთ უფლება, მოითხოვოთ ჯამში რეალურ ზიანზე მეტი თანხა.

3.9.რეგრესის წესი

3.9.1. მზღვეველზე, რომელმაც გადაიხადა სადაზღვევო ანაზღაურება, გადადის რეგრესული მოთხოვნის უფლება მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ გადახდილი ანაზღაურების სრული ოდენობის ფარგლებში. თქვენ ვალდებული ხართ გადმოგვცეთ თქვენს ხელთ არსებული ყველა დოკუმენტი (მათ შორის, შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ ოფიციალური ფორმით გაცემული (დამოწმებული უფლებამოსილი პირის ბეჭდითა და ხელმოწერით) სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, ორიგინალის სახით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: შემთხვევის ადგილი და თარიღი, შემთხვევის ყველა მონაწილის ვინაობა, შემთხვევის მოხდენაზე პასუხისმგებელი პირი (პირები), აგრეთვე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები), რომლებიც საჭიროა ამ მოთხოვნის რეალიზაციისათვის.

3.9.2. თქვენ მიერ ზიანზე პასუხისმგებელი პირისათვის უარის თქმა პრეტენზიებზე ან იმ უფლებებზე, რომლებიც უზრუნველყოფს მის მიმართ მოთხოვნების რეალიზაციას, აგრეთვე, უარის თქმა ჩვენთვის, გადმოგვცეთ ამ რეგრესული მოთხოვნის წასაყენებლად საჭირო დოკუმენტები, ჩვენ გვათავისუფლებს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან, ხოლო, თუ ასეთი ანაზღაურება უკვე გაცემულია, გვანიჭებს გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების უკან მოთხოვნის უფლებას.

3.10. ფორს-მაჟორი

3.10.1. მხარეები დროებით ვთავისუფლდებით წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ზემოხსენებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების მიზეზი იყო დაუძლეველი ძალის ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა.

3.10.2. ფორს-მაჟორული მდგომარეობის დადგომის შემთხვევაში ჩვენი ვალდებულებები წყდება მხოლოდ დროებით და სრულად ახლდება ამ გარემოებათა დამთავრების ან აღმოფხვრისთანავე.

3.10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა და შეწყვეტა უნდა დაადასტუროს შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანომ.

3.11. დაზღვევის მოქმედების ვადა და შეწყვეტა

3.11.1. დაზღვევა ძალაში შედის დაზღვევის ხელშეკრულების დადების მომდევნო დღის 24:00 და ძალაშია ერთი წლის ვადით. დაზღვევა ავტომატურად გრძელდება ანალოგიური ერთწლიანი ვადის მქონე სადაზღვევო პერიოდებით იმ პირობით, რომ დამზღვევი სადაზღვევო პერიოდის გაგრძელების თარიღისთვის მონაწილეობს პლიუს პროგრამაში. ამასთან, აღნიშნული პუნქტი ძალაშია პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ ყველა მოქმედ სადაზღვევო პოლისთან მიმართებაში, მოუხედავად მათი ძალაში შესვლის თარიღისა, ხოლო იმ სადაზღვევო პოლისებს, რომელთა სადაზღვევო პერიოდი ამოწურულია 2018 წლის 1 ნოემბრისთვის, ახალი სადაზღვევო პერიოდი ჩაერთვება 2018 წლის 1 ნოემბრიდან, ავტომატური გაგრძელების პირობით.

3.11.2. დამატებითი ვადის განსაზღვრისა და გაფრთხილების გარეშე დაზღვევის მოქმედება ვადაზე ადრე წყდება წერილობითი შეტყობინების გარეშე, შემდეგ გარემოებებში:

3.11.3. წინამდებარე პირობებით განსაზღვრული სადაზღვევო თანხის ამოწურვისას/ვადის გასვლისას;

3.11.4. თუ დაზღვევის ძალაში შესვლის შემდეგ გაქრება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესაძლებლობა და შეწყდება სადაზღვევო რისკის არსებობა ნებისმიერი გარემოებით, გარდა სადაზღვევო შემთხვევისა;

3.11.5. თუ სადაზღვევო რისკის ზრდა ან ქმედება, რომლის შედეგად დაგიდგათ ზიანი, თქვენ მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული

3.11.6. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

3.11.7. დამზღვევის პლიუს პროგრამაში მონაწილეობის შეწყვეტით;

3.11.8. მზღვეველის ან დამზღვევის მიერ მეორე მხარისთვის ერთი თვით ადრე წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გზით.

3.12. დავების განხილვა

3.12.1. მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმლებლობის შემთხვევაში კი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.12.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მორიგების მიზნით მიმართონ ა(ა)იპ „სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ (ს/კ 204878481) „დაზღვევის მედიაციას“ სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: (+995 32) 2555155, ელექტრონული ფოსტის მისამართზე mediacia@insurance.org.ge. მედიაციის მეშვეობით მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს, 3.11.1. პუნქტის შესაბამისად.

3.12.3. თითოეული მხარე ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.13. ინფორმაციის მიწოდება

დაზღვევის ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება დამზღვევს მიეწოდება წერილობითი ფორმით ან გაეგზავნება მოკლე ტექსტური ან ელექტრონული შეტყობინების სახით. მისამართის/ადგილსამყოფელისა თუ სხვა რეკვიზიტების ცვლილების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის დაუყოვნებლივ მზღვეველისთვის მიუწოდებლობის შემთხვევაში მზღვეველის მიერ გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია/შეტყობინება ჩაითვლება დამზღვევის მიერ მიღებულად.

3.14. კონფიდენციალურობა

თქვენ და ჩვენ მიერ ერთმანეთისათვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია (მიუხედავად მისი ზეპირი, თუ წერილობითი ფორმისა), რომელიც წარმოადგენს კომერციულ ან სხვა სახის ფასეულობას, ითვლება კონფიდენციალურად და წინასწარი შეთანხმების გარეშე არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს, თუ ეს დაკავშირებული არ არის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებასთან ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. მიუხედავად ზემოხსენებულისა, წინამდებარე პირობების აქცეპტირებით თქვენგან გვენიჭება უპირობო უფლება, თქვენ შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია თქვენთან ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე გადავცეთ სს "კრედიტინფო საქართველოს" (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის #06/5-51, საიდენტ. #204470740), რაც იწვევს თქვენს აღრიცხვას "კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში.